ხელშეკრულება
სახელმწიფო შესყიდვის შესახებ № 111 -2/57
(კონსოლიდირებული ტენდერი **CON170000039)**

თბილისი 6 ივლისი 2017წელი.

ერთის მხრივ **სსიპ საქართველოს ეროვნული მუზეუმი** (შემდგომში ,,შემსყიდველი"), წარმოდგენილი მისი გენერალური დირექტორის დავით ლორთქიფანიძის სახით და მეორეს მხრივ **შპს ,,იუ–ჯი–თი"** (შემდგომში ,,მიმწოდებელი"), წარმოდგენილი მისი გენერალური დირექტორის, ერმილე სულაძის სახით, ვმოქმედებთ ,,სახელმწიფო შესყიდვების შესახებ" საქართველოს კანონის, სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს თავმჯდომარის 2017 წლის 11 აპრილის №10 ბრძანებით დამტკიცებული „სხვადასხვა სახის პრინტერებისა და კარტრიჯების კონსოლიდირებული ტენდერების ჩატარების წესისა და პირობების", „სხვადასხვა სახის პრინტერებისა და კარტრიჯების სახელმწიფო შესყიდვის კონსოლიდირებული ტენდერების საშუალებით განხორციელების თაობაზე" საქართველოს მთავრობის 2017 წლის 4 აპრილის №690 განკარგულების, კონსოლიდირებული ტენდერის სატენდერო დოკუმენტაციისა და საქართველოში მოქმედი კანონმდებლობის საფუძველზე, ვდებთ წინამდებარე ხელშეკრულებას შემდეგზე:

1. გამოყენებული ტერმინების განმარტებები

1.1.ხელშეკრულებაში გამოყენებულ ტერმინებს აქვთ შემდეგი მნიშვნელობა:

1.1.1. "ხელშეკრულება სახელმწიფო შესყიდვის შესახებ" (შემდგომ – "ხელშეკრულება") _ შემსყიდველ ორგანიზაციასა და მიმწოდებელს შორის დადებული ხელშეკრულება, რომელიც ხელმოწერილია მხარეთა მიერ, მასზე თანდართული ყველა დოკუმენტით და დამატებებით და ასევე მთელი დოკუმენტაციით, რომლებზეც ხელშეკრულებაში არის მინიშნებები.

1.1.2. "ხელშეკრულების ღირებულება" ნიშნავს საერთო თანხას, რომელიც უნდა გადაიხადოს შემსყიდველმა ორგანიზაციამ მიმწოდებლის მიერ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულებისათვის;

1.1.3. "შემსყიდველი ორგანიზაცია" (შემდგომ "შემსყიდველი") ნიშნავს ორგანიზაციას (დაწესებულებას), რომელიც ახორციელებს სახელმწიფო შესყიდვას;

1.1.4. "მიმწოდებელი" ნიშნავს პირს, რომელიც აწვდის საქონელს სახელმწიფო შესყიდვის შესახებ მოცემული ხელშეკრულების ფარგლებში;

1.1.5. "დღე", "კვირა", "თვე" ნიშნავს კალენდარულ დღეს, კვირას, თვეს.

1.1.6. სამუშაო დღე ნიშნავს კალენდარულ დღეს შაბათის, კვირისა და საქართველოს კანონმდებლობით განსაზღვრული უქმე დღეების გარდა.

1.1.7. თუ ხელშეკრულებით გათვალიწინებული ვადის უკანასკნელი დღე ემთხვევა უქმე ან დასვენების დღეს, ვადის დამთავრების დღედ ჩაითვლება მისი მომდევნო პირველი სამუშაო დღე.

1.1.8. სატენდერო დოკუმენტაცია - 2017 წლის 12 აპრილის A4 ფორმატის „B" ტიპის მრავალფუნქციური შავ-თეთრი ლაზერული პრინტერებისა და მათთვის განკუთვნილი ორიგინალი ტონერიანი კარტრიჯების 2017-2018 წლების კონსოლიდირებული ტენდერის სატენდერო დოკუმენტაცია, რომელიც შესაძლოა დანართის სახით ფიზიკურად არ დაერთოს წინამდებარე ხელშეკრულებას, მაგრამ წარმოადგენს მის განუყოფელ ნაწილს.

2. ხელშეკრულების საგანი

ხელშეკრულების საგანია - სსიპ შოთა რუსთაველის ეროვნულ სამეცნიერო ფონდსა და საქართველოს ეროვნულ მუზეუმს შორის 2015-2016 წლის განმავლობაში გაფორმებული საგრანტო ხელშეკრულებების ფარგლებში 9 ცალი A4 ფორმატის „B" ტიპის მრავალფუნქციური შავ-თეთრი ლაზერული პრინტერის და მისთვის განკუთვნილი 9 ცალი ტონერიანი კარტრიჯის (შემდგომში „საქონელი") სახელმწიფო შესყიდვა (CPV30232110) დანართი #1–ის, დანართი#2-სა და წინამდებარე ხელშეკრულებით გათვალისწინებული პირობების შესაბამისად.

- საგრანტო ხელშეკრულება #217978 „საქართველოს ეროვნული მუზეუმის კოლექციების (ფონდების) სააღრიცხვო დოკუმენტაციის რეაბილიტაცია და კატალოგიზაცია" – 4 ცალი პრინტერი (კარტრიჯით).
- საგრანტო ხელშეკრულება #217120 „ადრე ბრინჯაოს ხანის მოსახლეობა მათი ყოფა და გარემო პირობების შეცნობა პალინოლოგიური კვლევების მიხედვით" – 1 ცალი პრინტერი (კარტრიჯით).
- საგრანტო ხელშეკრულება #217626 "ივრისპირეთი ზედა მიოცენში : სამხრეთ კავკასიის ნამარხი პრიმატების მატიანეში გარკვევისათვის" – 1 ცალი პრინტერი (კარტრიჯით).
- საგრანტო ხელშეკრულება #YS-2016-32 „ეთნოკულტურული მემკვიდრეობის ნიმუშები საქართველოს ეროვნულ მუზეუმში - ზურაბ კობიაშვილის უცნობი კოლექცია" – 1 ცალიპრინტერი (კარტრიჯით) .
- საგრანტო ხელშეკრულება #YS-2016-61 „სამთავროს სამაროვნის კრამიტსამარხები" – 1 ცალი პრინტერი (კარტრიჯით).

- საგრანტო ხელშეკრულება #217620 - „ნეანდერტალელები სამხრეთ კავკასიაში“ – 1 ცალი პრინტერი (კარტრიჯით).

3. სახელშეკრულებო ღირებულება

3.1. ხელშეკრულების საერთო ღირებულებაა (შემდგომში „სახელშეკრულებო ღირებულება“) 5153.31 (ხუთი ათას ასორმოცდაცამეტი ლარი და 31 თეთრი) ლარი დღგ-ს ჩათვლით.

3.2. სახელშეკრულებო ღირებულება მოიცავს საქართველოს კანონმდებლობით დადგენილ ყველა გადასახადს.

4. მხარეთა ვალდებულებები

4.1. მიმწოდებელი ვალდებულია:

4.1.1. უზრუნველყოს წინამდებარე ხელშეკრულებით გათვალისწინებული საქონლის მიწოდება ხელშეკრულებითა და სატენდერო დოკუმენტაციით დადგენილი პირობების შესაბამისად;

4.1.2. განიხილოს შემსყიდველის პრეტენზიები და მიაწოდოს პასუხი ყველა საკითხზე;

4.1.3. ხელშეკრულებასთან დაკავშირებული ნებისმიერი ინფორმაციის მიწოდება აწარმოოს წერილობით ან ელექტრონული ფოსტის მეშვეობით;

4.1.4. ხელი შეუწყოს შემსყიდველს ინსპექტირების განხორციელებისას;

4.1.5. განახორციელოს ამ ხელშეკრულებითა და სატენდერო დოკუმენტაციით მასზე დაკისრებული სხვა ვალდებულებები.

4.2. შემსყიდველი ვალდებულია:

4.2.1. აუნაზღაუროს მიმწოდებელს ხელშეკრულების ღირებულება ხელშეკრულების პირობებში ასახულ ვადებში და ფორმით.

4.2.2. განახორციელოს ამ ხელშეკრულებითა და სატენდერო დოკუმენტაციით მასზე დაკისრებული სხვა ვალდებულებები.

5. ხელშეკრულების შესრულების კონტროლი

5.1. შემსყიდველის მხრიდან შესყიდვების კონტროლს (ინსპექტირებას) განახორციელებს ირაკლი ლომსაძე - საქართველოს ეროვნული მუზეუმის IT ქსელის მართვის განყოფილების უფროსი.

5.2. ხელშეკრულების პირობებთან შესაბამისობის დადგენის მიზნით, შემსყიდველი უფლებამოსილია საქონლის მოწოდებისას, საკუთარი ხარჯით, მის მიერ შერჩეული მეთოდით შეამოწმოს მოწოდებული საქონლის ხარისხი.

6. საქონლის მიწოდების პირობები, ადგილი და ვადები

6.1. მიმწოდებელი უფლებამოსილია არ განახორციელოს საქონლის პირველი მიწოდება გამარჯვებულად გამოვლენიდან არაუადრეს 60 კალენდარული დღისა;

6.2. შესყიდვის ობიექტის მიწოდების ვადაა შემსყიდველის მიერ მისი მოთხოვნიდან არაუგვიანეს 15 (თხუთმეტი) სამუშაო დღე. შემსყიდველის მიერ საქონლის მოთხოვნა უნდა განხორციელდეს ხელშეკრულების გაფორმების შემდეგ ელ. ფოსტის მეშვეობით (შემსყიდველის ელ. ფოსტის მისამართი: njashiashvili@museum.ge, მიმწოდებლის ელ. ფოსტის მისამართი Giorgi.Londaridze@ugt.ge);

6.3. შესყიდვის ობიექტის მიწოდების ადგილია: თბილისი, ი. ჭავჭავაძის გამზ. #17ა;

6.4. მიმწოდებელი ვალდებულია შემსყიდველს მიაწოდოს საქონელი ქარხნული წესით შეფუთულ მდგომარეობაში;

6.5. თუკი საქონლის მიწოდების ბოლო დღე ემთხვევა არასამუშაო დღეს, მაშინ საქონლის მიწოდება განხორციელდება მომდევნო სამუშაო დღეს.

6.6. სტანდარტულ პრინტერებთან მიმართებაში მიმწოდებლის სატენდერო წინადადება ძალაშია 2018 წლის 30 აპრილის ჩათვლით, ხოლო კარტრიჯებთან მიმართებაში - 2020 წლის 30 აპრილის ჩათვლით;

7. შესყიდვის ობიექტის მიღება-ჩაბარების წესი

7.1. ხელშეკრულებით გათვალისწინებეული საქონლის მიწოდებისას მხარეებს შორის ფორმდება მიღება–ჩაბარების აქტი და მიწოდებული საქონელი ჩაითვლება ჩაბარებულად;

7.2. შემსყიდველის მხრიდან საქონლის მიღებასა და მიღება-ჩაბარების აქტის ხელმოწერაზე უფლებამოსილი პირია ირაკლი ლომსაძე - საქართველოს ეროვნული მუზეუმის IT ქსელის მართვის განყოფილების უფროსი.

8. გარანტია

8.1. პრინტერებზე ვრცელდება მწარმოებლის საერთაშორისო საგარანტიო პოლიტიკის შესაბამისი საგარანტიო მომსახურება მიღება-ჩაბარების აქტის გაფორმების დღიდან სამი წლის განმავლობაში;

8.2. საგარანტიო ვადის განმავლობაში, ხარვეზის აღმოჩენის შემთხვევაში შემსყიდველის მიერ დგება შესაბამისი წერილობითი დოკუმენტი, სადაც აღიწერება არსებული ხარვეზი, რის საფუძველზეც ხარვეზის აღმოსაფხვრელად შემსყიდველი მიმართავს მიმწოდებელს. მიმწოდებელი განახორციელებს ხარვეზის აღმოფხვრას საგარანტიო საქონლის მიმწოდებლის სერვის ცენტრში (თბილისი, ი. ჭავჭავაძის გამზ. #17ა) წარმოდგენიდან 10 (ათი) სამუშაო დღის განმავლობაში;

8.3. მიმწოდებელი უფლებამოსილია, არ გაავრცელოს საგარანტიო პირობები იმ შემთხვევაში, თუ შემსყიდველი ორგანიზაცია კონსოლიდირებული ტენდერის ფარგლებში შესყიდულ პრინტერში

გამოიყენებს კონსოლიდირებული ტენდერის ფარგლებს გარეთ შესყიდულ კარტრიჯებს (მათ შორის არაორიგინალს, დატენილს ან თავსებადს).

8.4. საქონლის ქარხნული წუნის შემთხვევაში, მიმწოდებელი ვალდებულია, განახორციელოს წუნდებული საქონლის ახლით შეცვლა შემსყიდველის მიერ მიმართვიდან, საქონლის მიმწოდებლის სერვის-ცენტრში წარდგენიდან არაუგვიანეს 10 (ათი) სამუშაო დღისა.

8.5. მიმწოდებელი ვალდებულია, შემსყიდველი ორგანიზაციის მხრიდან წარმოშობილი მოთხოვნის საფუძველზე, უზრუნველყოს "ზარაბნის" უსასყიდლოდ გაცემა არაუმეტეს 3 სამუშაო დღისა.

9. ანგარიშსწორება

9.1. ანგარიშსწორება განხორციელდება შემდეგი პირობებით:

ა) ანგარიშსწორების ვალუტა – ლარი.

ბ) ანგარიშსწორების ფორმა – უნაღდო, წინამდებარე ხელშეკრულებაში მითითებული მიმწოდებლის საბანკო რეკვიზიტების შესაბამისად.

9.2. შემსყიდველი იღებს ვალდებულებას გადაუხადოს მიმწოდებელს საქონლის ღირებულება მიღება-ჩაბარების აქტის გაფორმებიდან არაუგვიანეს 5 (ხუთი) სამუშაო დღისა. თუკი ანგარიშსწორების განხორციელების ვადის ბოლო დღე ემთხვევა არასამუშაო დღეს, მაშინ ანგარიშსწორება განხორციელდება მომდევნო სამუშაო დღეს.

10. ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობა

10.1 მიმწოდებლის მიერ კანონმდებლობითა და კონსოლიდირებული ტენდერის შედეგად ნაკისრი ვალდებულებების შეუსრულებლობის ან/და არაჯეროვანი შესრულების შემთხვევაში შემსყიდველი ორგანიზაცია მიმართავს სატენდერო კომისიას ხელშეკრულების შეწყვეტის საკითხის გადაწყვეტის მიზნით. გადაწყვეტილების მიღების დროს სატენდერო კომისია ხელმძღვანელობს პროპორციულობის, მიზანშეწონილობისა და თანაზომიერების პრინციპებით.

10.2 სატენდერო კომისიის მიერ ხელშეკრულების შეწყვეტის შესახებ რეკომენდაციის გაცემის შემთხვევაში, შემსყიდველი ორგანიზაცია წყვეტს ხელშეკრულებას, რის შედეგადაც მიმწოდებელს დაეკისრება შემსყიდველი ორგანიზაციის სასარგებლოდ საჯარიმო თანხის გადახდა კონკრეტული ხელშეკრულებით შესასყიდი (დარჩენილი) სტანდარტული პრინტერის და სტანდარტული კარტრიჯის ხელშეკრულებით განსაზღვრული საორიენტაციო ღირებულების 20%-ის ოდენობით.

10.3 საქონლის მიწოდების ვადის დარღვევის შემთხვევაში, შემსყიდველი ორგანიზაცია უფლებამოსილია მოსთხოვოს მიმწოდებელს გადაიხადოს პირგასამტეხლო ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე მისაწოდებელი საქონლის ღირებულების 0,2 პროცენტის ოდენობით, ხოლო იმ შემთხვევაში თუ დაკისრებული პირგასამტეხლოს ჯამური თანხა გადააჭარბებს ხელშეკრულების ღირებულების 2 (ორი) პროცენტს, შემსყიდველ ორგანიზაციას უფლება აქვს მიმართოს სატენდერო კომისიას ხელშეკრულების შეწყვეტის თაობაზე საკითხის გადაწყვეტის მიზნით. გადაწყვეტილების მიღების დროს სატენდერო კომისია ხელმძღვანელობს პროპორციულობის, მიზანშეწონილობისა და თანაზომიერების პრინციპებით.

10.4 ანგარიშსწორების ვადის დარღვევის შემთხვევაში, მიმწოდებელი უფლებამოსილია მოსთხოვოს შემსყიდველ ორგანიზაციას გადაიხადოს პირგასამტეხლო ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე გადაუხდელი თანხის 0,2 პროცენტის ოდენობით.

10.5 შემსყიდველს უფლება აქვს ცალმხრივად შეწყვიტოს ხელშეკრულების მოქმედება აგრეთვე:

10.5.1. მიმწოდებლის გაკოტრების შემთხვევაში;

10.5.2. საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებულ სხვა შემთხვევებში;

10.6 პირგასამტეხლოს გადახდა არ ათავისუფლებს მხარეებს ძირითადი ვალდებულებების შესრულებისაგან;

11 ხელშეკრულების მოქმედების ვადა

11.1 ხელშეკრულების მოქმედების ვადა განისაზღვრება ხელშეკრულების ხელის მოწერის დღიდან და მოქმედებს 2020 წლის 30 აპრილის ჩათვლით.

12 ხელშეკრულების პირობების გადასინჯვის შესაძლებლობა

12.1 ბაზრის კონიუნქტურის გათვალისწინებით ან დაინტერესებული პირის მხრიდან წერილობითი მიმართვის შემთხვევაში, უფლებამოსილია, წელიწადში ორჯერ გადახედოს მიმწოდებლის მიერ შემოთავაზებული ერთი ერთეული სტანდარტული პრინტერისა და ერთი გვერდის ბეჭდვის ფასს და ბაზარზე შესაბამისი გარემოებების არსებობის შემთხვევაში, განიხილოს მისაწოდებელი საქონლის ერთეულის ფასის ცვლილება.

12.2 თუ რაიმე წინასწარ გაუთვალისწინებელი მიზეზების გამო წარმოიშობა ხელშეკრულების პირობების შეცვლის აუცილებლობა, ცვლილებების შეტანის ინიციატორი ვალდებულია 10 (ათი) დღით ადრე წერილობით შეატყობინოს მეორე მხარეს შესაბამისი ინფორმაცია.

13 ფორს-მაჟორი

13.1 ხელშეკრულების დამდები რომელიმე მხარის მიერ ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობა არ გამოიწვევს საჯარიმო სანქციების გამოყენებას, თუ ხელშეკრულების შესრულების შეფერხება ან მისი ვალდებულებების შეუსრულებლობა არის ფორს-მაჟორული გარემოების შედეგი;

13.2 ამ მუხლის მიზნებისათვის "ფორს-მაჟორი" ნიშნავს მხარეებისათვის გადაულახავ და მათი კონტროლისაგან დამოუკიდებელ გარემოებებს, რომლებიც არ არიან დაკავშირებული შემსყიდველისა და/ან მიმწოდებლის შეცდომებსა და დაუდევრობასთან და რომლებსაც გააჩნია წინასწარ გაუთვალისწინებელი ხასიათი. ასეთი გარემოება შეიძლება გამოწვეული იქნას ომით, სტიქიური მოვლენებით, ეპიდემიით, კარანტინით და საქონლის მიწოდებაზე ემბარგოს დაწესებით, საბიუჯეტო ასიგნებების მკვეთრი შემცირებით და სხვა;

13.3 ფორს-მაჟორული გარემოებების დადგომის შემთხვევაში ხელშეკრულების დამდებმა მხარემ, რომლისთვისაც შეუძლებელი ხდება ნაკისრი ვალდებულებების შესრულება, დაუყოვნებლივ უნდა გაუგზავნოს მეორე მხარეს წერილობითი შეტყობინება ასეთი გარემოებების და მათი გამომწვევი მიზეზების შესახებ. თუ შეტყობინების გამგზავნი მხარე არ მიიღებს მეორე მხარისაგან წერილობით პასუხს, იგი თავისი შეხედულებისამებრ, მიზანშეწონილობისა და შესაძლებლობისდა მიხედვით აგრძელებს ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულებას და ცდილობს გამონახოს ვალდებულებების შესრულების ისეთი ალტერნატიული ხერხები, რომლებიც დამოუკიდებელი იქნებიან ფორს-მაჟორული გარემოებების ზეგავლენისაგან.

14 სადაო საკითხების გადაწყვეტა

14.1 წამოჭრილი დავები ან აზრთა სხვადასხვაობა შესაძლებელია გადაწყვეტილ იქნას ერთობლივი მოლაპარაკების საფუძველზე;

14.2 შეთანხმების მიუღწევლობის შემთხვევაში მხარეები მიმართავენ საქართველოს საერთო სასამართლოებს საქართველოს კანონმდებლობის საფუძველზე.

15 სხვა პირობები

15.1 მხარეები აუნაზღაურებენ ერთმანეთს მიყენებულ ზარალს საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად;

15.2 არც ერთ მხარეს არა აქვს უფლება გადასცეს მესამე პირს თავისი უფლებები და მოვალეობები, მეორე მხარის წერილობითი თანხმობის გარეშე;

15.3 ხელშეკრულება შედგენილია ქართულ ენაზე, ორ ეგზემპლარად, რომელთაგან თითოეულს აქვს თანაბარი იურიდიული ძალა და ინახება ხელმომწერ მხარეებთან (ერთი ეგზემპლარი მიმწოდებელთან, ხოლო ერთი შემსყიდველთან). ხელშეკრულებასთან დაკავშირებული ნებისმიერი მიმოწერა შესრულებული უნდა იყოს ქართულ ენაზე;

15.4 ხელშეკრულებში ცვლილებების შეტანა შესაძლებელია მხარეთა მიერ წერილობითი შეთანხმების საფუძველზე, რაც წარმოადგენს ხელშეკრულების განუყოფელ ნაწილს.

16 მხარეთა იურიდიული მისამართები და რეკვიზიტები

შემსყიდველი:	მიმწოდებელი:
სსიპ საქართველოს ეროვნული მუზეუმი	**შპს „იუ-ჯი-თი"**
ქ. თბილისი, რუსთაველის გამზ. №3.	ს/კ – 204892964
ტელ: 298-21-35	ქ. თბილისი, ი.ჭავჭავაძის გამზ #17ა
საიდენტ: 204468664	ტელ: 2 220505
მიმღების ბანკი: სახელმწიფო ხაზინა	საბანკო რეკვიზიტები:
მიმღების დასახელება: ხაზინის ერთიანი ანგარიში	ანგ.# GE88BG0000000261644601,
ბანკის კოდი: TRESGE22	სს „საქართველოს ბანკი"
მიმღების ანგარიში: 708467499	კოდი: BAGAGE22,
დავით ლორთქიფანიძე გენერალური დირექტორი	ერმილე სულაძე გენერალური დირექტორი

ხელშეკრულება სახელმწიფო შესყიდვის შესახებ №

დანართი #1

ფასების ცხრილი

№	შესყიდვის ობიექტის დასახელება	ბრენდისა და მოდელის დასახელება	რ-ბა	ერთეულის ფასი (ლარი)	საერთო ღირებულება (ლარი)
1	A4 ფორმატის მრავალფუნქციური შავ-თეთრი ლაზერული პრინტერი	HP LaserJet Ultra MFP M134fn	9	493.93	4445,37
2	ორიგინალი კარტრიჯი	HP 33A Original Black LaserJet Toner Cartridge	9	78.66	707,94
				სულ დღგ-ს ჩათვლით:	5153,31

შემსყიდველი:

სსიპ საქართველოს ეროვნული მუზეუმი
ქ. თბილისი, რუსთაველის გამზ. №3.
ტელ: 298-21-35
საიდენტ: 204468664
მიმღების ბანკი: სახელმწიფო ხაზინა
მიმღების დასახელება: ხაზინის ერთიანი ანგარიში
ბანკის კოდი: TRESGE22
მიმღების ანგარიში: 708467499

მიმწოდებელი:

შპს „იუ-ჯი-თი“
ს/კ – 204892964
ქ. თბილისი, ი.ჭავჭავაძის გამზ #17ა
ტელ: 2 220505
საბანკო რეკვიზიტები:
ანგ.# GE88BG0000000261644601,
სს „საქართველოს ბანკი”
კოდი: BAGAGE22,

დავით ლორთქიფანიძე
გენერალური დირექტორი

ერმილე სულაძე
გენერალური დირექტორი

მრავალფუნქციური შავ-თეთრი ლაზერული პრინტერის ტექნიკური მაჩვენებლები

#	სავალდებულო მოთხოვნები	მიმწოდებლის მიერ შემოთავაზებული ტექნიკური მახასიათებლები
1	ბეჭდვის ტიპი:	შავ-თეთრი
2	ტექნოლოგია:	ლაზერული
3	პირველი გვერდის ამობეჭდვის დრო:	არაუმეტეს 10 წამი
4	ბეჭდვის სიჩქარე:	22 გვ/წუთში
5	პრინტერის გარჩევადობა:	600 x 600 dpi ან მეტი
6	ფორმატი:	A4; A5; A6; B5 (JIS)
7	საქაღალდე უჯრა:	150 ფურცელი
8	საკომუნიკაციო პორტები:	USB 2.0; Ethernet 10/100Base-TX
9	ოპერატიული მეხსიერება:	256MB
10	მაქსიმალური დატვირთვის ციკლი თვეში:	20000
11	პრეტენდენტმა წინადადება უნდა წარმოადგინოს მითითებული დიაპაზონის მქონე კარტრიჯებზე:	2300 გვერდი (5% დაფარვით)
12	შემომავალი დენი:	230 V +/- 10%
13	ოპერაციულ სისტემებთან თავსებადობა:	Windows, Linux, Mac OS
14	ასლის გადაღება:	
15	ასლის გადაღების სიჩქარე:	22 გვ/წუთში
16	ასლის გადაღების გარჩევადობა:	600 x 400 dpi
17	სკანერი:	
18	სკანერის ტიპი:	Flatbed, ADF
19	სკანერის გარჩევადობა:	600x600 dpi ან მეტი
20	სკანირების სიჩქარე:	11 გვ/წუთში
21	ფერადი სკანირება:	24 bit
22	დასკანირებული ფაილის ფორმატი:	JPEG, PDF, PNG

სსიპ საქართველოს ეროვნული მუზეუმი
ქ. თბილისი, რუსთაველის გამზ. №3.
ტელ: 298-21-35
საიდენტ: 204468664
მიმღების ბანკი: სახელმწიფო ხაზინა
მიმღების დასახელება: ხაზინის ერთიანი ანგარიში
ბანკის კოდი: TRESGE22
მიმღების ანგარიში: 708467499

შპს „იუ-ჯი-თი“
ს/კ – 204892964
ქ. თბილისი, ი.ჭავჭავაძის გამზ #17ა
ტელ: 2 220505
საბანკო რეკვიზიტები:
ანგ.# GE88BG0000000261644601,
სს „საქართველოს ბანკი”
კოდი: BAGAGE22,

დავით ლორთქიფანიძე
გენერალური დირექტორი

ერმილე სულაძე
გენერალური დირექტორი